საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანებაN01-08/29

23 ივლისი 2012წ. ქ.ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის წესისა და საბუთების მიღება/განხილვის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, „მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 13 ივლისის №534 ბრძანების, „2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივლისის №107 დადგენილების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.განისაზღვროს 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის (სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ფაკულტეტის შეცვლის ან სტატუსშეჩერებული/სტატუსშეწყვეტილის აღდგენის) ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2012 წლის 30 ივლისი - 10 აგვისტოს ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2012 წლის 13-15 აგვისტოს ჩათვლით;

გ) სტუდენტებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა - 2012 წლის 17 აგვისტოს;

დ) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება - 20 აგვისტო.

2. 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის (მობილობა) განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2012 წლის 29 აგვისტო - 7 სექტემბრის ჩათვლით;

ბ) უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება - 7- 10 სექტემბრის ჩათვლით;

გ) სტუდენტთათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა - 2012 წლის 11 სექტემბერი;

დ) რსუ-ში გადმოსულ პირთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2012 წლის 13 სექტემბერი.

3. დამტკიცდეს სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის (შიდა მობილობის) წესი (დანართი 1);
4. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს რსუ-ში 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის კოორდინირება;
5. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;
6. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს ამ ბრძანების რსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**

დამტკიცებულია რსუ-ს რექტორის

2012 წლის 23 ივლისის №01–08/29 ბრძანებით

დანართი 1

სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის (შიდა მობილობის) წესი

1. წინამდებარე მობილობის წესი არეგულირებს სტუდენტის გადმოსვლას სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ (შემდეგში ,,რსუ”-ში), ასევე რსუ-ს სტუდენტთა მობილობას რსუ-ს ფაკულტეტებს შორის (შიდა მობლობა).

2. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად მობილობის ფარგლებში ხორციელდება ასევე ფინანსური დავალიანების /აკადემიური შვებულების გამო რსუ-ს სტუდენტის სტატუსშერებული პირების აღდგენა (სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვება).

3. სხვა ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების მსურველი რსუ-ს სტუდენტი მობილობისათვის დადგენილ ვადებში მიმართავს რსუ-ს რექტორს. მიმღები ფაკულტეტი, რსუ-ში დადგენილი წესით, ადგენს სტუდენტის მიერ განვლილი პროგრამისა და სტუდენტისათვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობისა და შესაბამისობის დასკვნას, რის საფუძველზეც განისაზღვრება სასურველ პროგრამაზე სწავლების ეტაპი და გამოიცემა რექტორის ბრძანება.

4. მობილობის /აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია დადგენილ ვადებში შესაბამისი განცხადებით მომართოს რსუ-ს. განცხადებების წარმოდგენისა და განხილვის ვადები განსაზღვრულია წინამდებარე ბრძანებაში.

5. რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ განცხადებები განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს განცხადებას, თანდართული დოკუმენტაციით, კარგავს მის მიერ პორტალზე დარეგისტრირებულ, რსუ-ს ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეწყვეტილი/სტატუსშეჩერებული პირის აღდგენის წესით ჩარიცხვა/სტატუსის შეჩერების აქტის ძალადაკარგულად ცნობა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი სრულად დაფარავს ფინანსურ დავალიანებას.

7. **სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან რსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა** სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ;

ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;

ზ) გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. **აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა** (სტატუსშეჩერებულმა/სტატუსშეწყვეტილმა პირებმა) რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში რსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი;

ვ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი.

9. **ფაკულტეტის შეცვლის მსურველმა** რსუ-ს სტუდენტებმა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ;

დ) სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;

ე) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

ვ) ამონაწერი უმაღლეს საგანმანთებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან.

10. თუ შიდა მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა ფაკულტეტებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, მაშინ რსუ უფლებამოსილია მობილობის მსურველებს შესაბამის ფაკულტეტებზე ჩუტაროს შესარჩევი გამოცდა.

11. მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით საფაკულტეტო კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს გასაუბრება.

12. მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვისას, შესაბამისი ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს დასკვნას მობილობის/აღდგენის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების მიზანშეწონილობის შესახებ, რსუ-ში მიღებული კრედიტების ცნობის წესის შესაბამისად.

13. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს მობილობის წესით სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტს, რომელიც წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

14. რსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტი ვალდებულია დადგენილ ვადებში წარმოადგინოს საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში და მის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია.

15. რსუ-ში მობილობით/შიდა მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვისას სტუდენტსა და რსუ-ს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

16. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო სტუდენტის მობილობა აისახება სტუდენტთა რეესტრში.

17. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის შესაბამისად.